№3-381

12.07.2019

www.moxmarebeli.ge
მოხმარებელი.ge
საკითხს აშუქებს

სურსათის ეროვნული სააგენტოს

უფროსს ბატონ ზურაბ ჩეკურაშვილს

ბატონო ზურაბ,

2019 წლის აპრილში მოქალაქის საჩივრის საფუძველზე შევამოწმეთ, თბილისში, სავაჭრო ცენტრ „ისთფოინთში" მდებარე მაღაზია „კარფურში" ნაყიდი კარაქი „ვალიო". ლაბორატორიიდან მიღებული პასუხით: „ექსპერტიზაზე წარმოდგენილი კარაქის ნიმუში (ეტიკეტზე წარწერით „კარაქი ვალიო") გამოკვლეული ორგანოლეპტიკური მაჩვენებლებით (არაერთგვაროვანი შეფერილობა, გემო, სუნი) არ შეესაბამება ამ დასახელების პროდუქტისათვის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს". დასკვნაში წერია, რომ „გამოსაკვლევი ნიმუშის გარეთა შედარებით მუქ ფენას დაჰკრავს სიმძაღის სუნი და გემო". ამასთან დაკავშირებით გამოიგზავნა წერილი სურსათის ეროვნულ სააგენტოში. სააგენტოდან მიღებული ინფორმაციით, შემოწმდა „კარფურში" პროდუქტის შენახვის პირობები, ასევე „კარფურის" მომმარაგებელი შპს ევროპროდუქტის სამაცივრე საწყობი და სატრანსპორტო საშუალებები. დარღვევა არ გამოვლენილა.

2019 წლის 5 ივლისს, სავაჭრო ცენტრ „ისთფოინთში" მდებარე მაღაზია „კარფურში" განმეორებით შევიძინეთ კარაქი „ვალიო", რომელსაც კვლავ აღენიშნებოდა არაერთგვაროვანი შეფერილობა და ჩავაბარეთ ანალიზისათვის ლაბორატორიაში.

ლაბორატორიდან მიღებული პასუხით „ექსპერტიზაზე წარმოდგენილი კარაქის ნიმუში გამოკვლეული ორგანოლეპტიკური მაჩვენებლებით (არაერთგვაროვანი შეფერილობა, გემო, სუნი) არ შეესაბამება ამ დასახელების პროდუქტისათვის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს". დასკვნაში წერია, რომ „გამოსაკვლევი ნიმუშის გარეთა შედარებით მუქ ფენას დაჰკრავს სიმძაღის სუნი და გემო" და „არაერთგვაროვანი შეფერილობისაა".

პროდუქტის ეტიკეტის ფოტოებს, ლაბორატორიულ დასკვნასა და შესყიდვის დამადასტურებელ დოკუმენტს გიგზავნით დანართად.

გთხოვთ მოახდინოთ რეაგირება. მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით, გთხოვთ გვაცნობოთ თქვენი რეაგირების შესახებ, რათა ეს ინფორმაცია საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გავხადოთ.

პატივისცემით,

ვახტანგ კობალაძე

პროგრამის კოორდინატორი

ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ 5004399019

09/07/2019 წ.

5004399019

ააიპ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და
განვითარების ცენტრის წარმომადგენელს

ქალბატონ თამარ გობეჯიშვილს

(დელისის 1 შესახვევი 5 ა)

ქალბატონო თამარ,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი მომართვის (ბიუროს 2019 წლის 5 ივლისის რეგისტრაციის N1005979319) საფუძველზე, გიგზავნით ექსპერტიზის N004717419 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 04 ფურცლად;

კვლევის ობიექტი - 01 ფუთა, დალუქული სახით.

პატივისცემით,

ვახტანგ კარგარეთელი
ბიუროს უფროსის პირველი მოადგილე

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. N84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის 2ა
ბათუმი , პ. მელიქიშვილის ქ. N102
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162
2A I. Chavchvadze str., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili str., Batumi
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

WWW.EXPERTIZA.GOV.GE

5004399019

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი _____

თარიღი 09.07.19 (ხელმოწერა) ბ.ა

NATIONAL FORENSICS BUREAU

004717419

ექსპერტის დასკვნა № 004717419

გაფრთხილება

ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: ქიმიური

დამნიშნავი:

ორგანიზაცია: ააიპ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

თანამდებობა: წარმომადგენელი (მინდობილობით)

მისამართი: დელისის 1 შესახვევი 5 ა

სახელი და გვარი: თამარ გობეჯიშვილი

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები:

მარინა იაკობაშვილი / ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის კვების პროდუქტების, თამბაქოს ნაწარმის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 22 წლის სტაჟით.ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ ჩვენს მიერ წარმოდგენილ ნიმუშს "კარაქი ვალიო" 0.238 გრ ჩაუტაროთ ორგანოლეპტიკური ანალიზი დაჩქარებული წესით.

შემოსვლის თარიღი: 05/07/2019 წ

გასვლის თარიღი: 09/07/2019 წ

დასკვნა

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი კარაქის ნიმუში გამოკვლეული ორგანოლეპტიკური მაჩვენებლებით (არაერთგვაროვანი შეფერილობა, გემო, სუნი) არ შეესაბამება ამ დასახელების პროდუქტისათვის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

მარინა იაკობაშვილი

გამოკვლევა

კვლევის ობიექტი კვების პროდუქტების, თამბაქოს ნაწარმის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ექსპერტიზის სამმართველოს გადმოეცა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ნივთმტკიცების შესაფუთი ერთი ცალი, ინდივიდუალური პარკით, დალუქული სახით.

ექსპეტიზის წინაშე დასმული კითხვის გადასაწყვეტად კვლევა წარიმართა შემდეგი სქემით:

1. ნიმუშის ორგანოლეპტიკური შეფასება სტანდარტის, გოსტი 37-91-ის მიხედვით.

კვების პროდუქტების, თამბაქოს ნაწარმის, ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების ექსპერტიზის სამმართველო; მეთოდი: გოსტი 37-91 აკრედიტირებულია სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის მიერ სსტ ისო/იეკ 17025:2010 სტანდარტის მიხედვით. აკრედიტაციის მოწმობის ნომერი GAC-TL-0166.

პაკეტის გახსნისას მასში აღმოჩნდა ერთჯერად, თეთრი ფერის ლანგარზე მოთავსებული მართკუთხა ფერის მოყვითალო ფერის ცხიმოვანი მასა. პროდუქტი შეფუთულია პოლიმერული მასალისაგან დამზადებული უფერო, გამჭვირვალე გარსში, რომელსაც ზემოდან დაკრული აქვს ეტიკეტები. ერთ-ერთ ეტიკეტზე მოცემულია: "კარფური კარაქი ვალიო შტრიხკოდი "2105295007029", აქვეა თარიღები "04.07.19" pak "19.07.19" exp. weight 0.238; price 7.02". მეორე ეტიკეტზე მითითებულია შემდეგი ინფორმაცია: "Valio Finland ყველი ოლტერმანი ნახევრად მყარი. ლაქტოზის გარეშე. ცხიმის ხვედრითი წილი 50%. შემადგენლობა პასტერიზებული ნატურალური რძე. რძემჟავა ბაქტერიის ბაკკონცენტრატი, არაცხოველური წარმოშობის რძის შემადგენელი პრეპარატი (ხიმოზინი) მარილი, გამამყარებელი, კონსერვანტების გარეშე, ლაქტოზის გარეშე. 100 გრ პროდუქტი შეიცავს: ცილებს 25 გრ; ნახშირწყლები 29 გრ მათ შორის გამდიდრებული ცხიმოვანი მჟავები 16 გრ, მარილი 1.3 გრ, კალციუმი 770 გრ რეკომენდირებული დღე-ღამური მოთხოვნილების (96%) ვიტამინები B12 0.65μ დღე-ღამური მოთხოვნილების (65%) კალორიოლობა 360 კკალ. 1500 კჯ. ინახება +2-+8^0 C გამოშვების თარიღი და ვარგისიანობის ვადა იხილეთ შეფუთვაზე. მწარმოებელი ვალიო. ფინეთი. იმპორტიორი ფირმა საქართველოში შპს "ევროპროდუქტი" მისამართი გაგრის ქ. N2 ტელ 2 65 25 45".

გარეგნული დათვალიერებით აღმოჩნდა, რომ საანალიზოდ წარმოდგენილია კარაქის ნიმუში. მისი ზედაპირი არაერთგვაროვანი (ყვითელიდან კრემისფერამდე) შეფერილობისაა. გარეთა შრე უფრო მუქია - ყვითელი, ხოლო შიგნითა ფენა - ღია (კრემისფერი, მოყვითალო ელფერით). იხილეთ ფოტოილუსტრაცია. კარაქის გარეთა ფენას დაჰკრავს მძაღე სუნი. ჩატარებული გამოკვლევის შედეგები მოცემულია ცხრილში.

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, ექსპერტიზაზე წარმოდგენილი კარაქის ნიმუში თავის ორგანოლეპტიკური მაჩვენებლებით არ შეესაბამება ამ დასახელების პროდუქტისათვის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

ცხრილი

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი კარაქის ნიმუშის ორგანოლეპტიკური გამოკვლევის შედეგები

პარამეტრის დასახელება	ნორმა სახელმწიფოთაშორისი სტანდარტის 37-91-ის მიხედვით	გამოსაკვლევი ნიმუშის მაჩვენებლები
გემო და სუნი	სუფთა უცხო სუნისა და გემოს სასიამოვნო, დამახასიათებელი ნაღების კარაქისთვის	სუსტად გამოხატული ნაღების არომატი, გარეთა, შედარებით მუქ ფენას, დაჰკრავს სიმძაღის სუნი და გემო
კონსისტენცია და გარეგნული სახე	პლასტიკური, ერთგვაროვანი მთელ მასაზე, ზედაპირი მშრალი, განაჭერში სუსტად მბრწყინავი	პლასტიკური, ერთგვაროვანი მთელ მასაზე, ზედაპირი მშრალი, განაჭერში სუსტად მბრწყინავი
ფერი	თეთრიდან ყვითლამდე ერთგვაროვანი მთელ მასაზე	არაერთგვაროვანი შეფერილობის, ყვითლიდან კრემისფერამდე

შენიშვნა: 1. გამოკვლევის შედეგები ვრცელდება წარმოდგენილ ნიმუშზე;

2. საკვლევი ნიმუში, ერთი ფუთა, დალუქული სახით, უბრუნდება ექსპერტიზის დამკვეთს.

მარინა იაკობაშვილი

004717419

გამოყენებული მასალები

1. რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი -საქართველოს მთავრობის დადგენილება N152, 2015 წლის 3 აპრილი ქ. თბილისი.

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: მაია გონაშვილი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: პაატა თუშურაშვილი

ფოტოილუსტრაცია



ფოტო 1

ფოტო 2

ფოტო 3

ფოტო 4



ფოტო 5



ქონლო ზედნადები #	ელ- 0462729090

3	17:07:17

დრო (საათი, წუთი)

(დღგ-ს გადამხდელი)

404923749	5 ფონდი საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი	204873618
...ფიკაციო/პირადი ნომერი	მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

7	ჰიპერმარკეტი ისთ ფოინთი, თვალჭრელიძის 2

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8	X

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

10	X	
სატრანსპორტო სამუალების სახელმწიფო ნომერი		მისაბმელი

12	გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი	მყიდველი - 0

თანხა ლარებში

...ლო ზედნადების ცხრილი

		...ონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი *
1	კარაქი ვალიო	21052958	კგ	0.4820	29.5021	14.2200

13	14.22 - თოთხმეტი ლარი და ოცდაორი თეთრი

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14	

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15	

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16	

ხელმოწერა

17	

ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების	05/07/2019	17:07:25
		თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	დრო (საათი, წუთი)

19	

Carrefour კარფური

BUTTER VALIO

00000639

2 105295 007203

04.07.19 pak. 06:55

19.07.19 exp.

weight/qty 0.244

gel/kg/pos price 29.50 7.20

Valio

Finland